„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მან. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილი ადგილის კვალობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს დაუმოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზედ“

1885 წლისათვის

თბილისში—„დროების“ რედაქციაში; ქუთაისში—ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; ბათუმში—მოსე ნათაძესთან; თელავში—ვანო როსტომაშვილთან; გორში—ალადრო თუთაევთან.

წლით ხელის-მომწერნი ამ წლის ყველა ნომრებს მიიღებენ. თებერვლის პირველიდამ წლის დამლევამდე გაზეთის ფასი 8 მან. და 50 კაპ.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით შვიდი მანათი, ნახევარ წლით ოთხი მანათი. დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

იქვე და იმავე პირებთან, რომელნიც ზემოდ არიან გამოცხადებულნი, მიიღება აგრეთვე ხელის-მოწერა ჟურნალს

„ივერიაზედ“

ვინც ცალკე დაიბარებს მთელის 1885 წლით ჟურნალს «ივერიას», უნდა გამოგზავნოს წლის ხვედრი ფული შვიდი მანათი (სოფლის მასწავლებელთათვის ხუთი მანათი) „დროების“ რედაქციაში ამ ადრესით: Въ Тифлисъ, въ Редакцію «Дроэба».

ვისაც უფრო ემარჯვებოდეს შეუძლიან «დროება» და «ივერია» ერთის წერილით დაიბაროს და ამისთვის ხვედრი ფული 16 მანათი გამოგზავნოს «დროებისვე» ადრესით.

რედაქტორი «ივერიისა» ილია ჭავჭავაძე.

გამოვიდა თხზულება აკაკისა

საყმაწვილო

ამბები

ძმათა ჭილაძეების გამოცემა.

ისყიდება: ქუთაისს გამომცემელთა ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, თბილისში გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და შავერდოვის სააგენტოში. ფასი ორი აბაზი. (3—2)

## ლიტერატურული ფონდის გამო *)

წარსული წლის ნოემბრის 8-ს რუსეთის დაწინაურებულმა საზოგადოებამ, ლიტერატორების წრემ, იდღესასწაულა ლიტერატურული ფონდის დაწესების იუბილეი. ამ შემთხვევამ გამომიწვია, რომ ვსთქვა რამოდენიმე სიტყვა შესახებ ამ გვარივე დაწესებულების დაარსებისა ჩვენს ქვეყანაში. ამ უკანასკნელ ათ წელიწადში ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსულთა რიცხვმა შესამჩნევად აიწია ჩვენში. მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენის ლიტერატორების შორის ერთ-ორს თუ დაასახელებს კაცი, რომელთაც შეეძლოთ უსამსახუროდ დარჩენ, თავიანთ თავი არ გააბან სახელმწიფო სამსახურის უღელში ლუკმა პურის საშოვრად და მთელი თავისუფალი დრო შესწირონ ლიტერატურულ შრომას; დანარჩენნი იძულებულნი არიან ლიტერატურულ შრომას დაუთმონ უმცირესი ნაწილი და უმეტესი კი თავიანთ დროისი ლუკმა პურის შოვნას მოანდომონ. ლიტერატურული შრომის ფასით ჩვენში ვერ ურჩენიათ თავი წარჩინებულ მწერალთაც და რაც შეეხება დანარჩენთ, იგინი იმის ფიქრსაც ვერ გაბედავენ, რომ ამისთანა დროს მოესწრან. ეს არა სანუგეშო მოვლენა ართმევს ძალას და ღონეს ჩვენი მწერლობის წარმომადგენელთ, რომელთა შორის ბევრი იფეთქავს ხოლმე მწერლობის ჰორიზონტზე და წამზე გაჰქრება, გაქრება იმ მიზეზით, რომ სხვა შრომასთან ერთად აღარა რჩება დრო თავისი ნიჭი განავითაროს, წაიკითხოს რამე, შეიმუშაოს თავისი ნაწარმოებნი და სულით და გულით მიეცეს საყვარელ საქმეს. ერთი-ორი წლის განმავალობაში გამოლევს ყველა ტემებს, გამოცუდდება და შემდეგ ახალს ველარას იძლევა: ან ანებებს თავს კალამს, ან კვალად ძველ ხმებზე გალობს. მართლადაც, რა მიაღწევინებს მას ახალ აზრს, ახალ ტემას, როდესაც თითქმის დილიდგან საღამომდე თავის ქაღალდებს დასჩერებია, წლითი-წლობით რომელსამე ქალაქში იმყოფება და ვერც დრო უშოვნია, ვერც შეძლება წავიდეს სოფელში, შეხედოს, დაუკვირდეს სხვა სურათებს, სხვა ცხოვრებას, სხვა მაჯის ცემას, სხვა ხალხს. შესცვალეთ გარემოება, მიეცით ნიჭიერ მწერლებს სასყიდელი, ააშორეთ ლუკმა პურისათვის წოწიალს და მაშინ ცხადად დაინახავთ, რომ ნიჭიერებს უბრძოლველად გზა გაეხსნებათ, დაეთმობათ მწერლობის ასპარეზი და მკითხველ საზოგადოებას მიეცემა შეძლება სულიერად და გონივრულად განსცხრეს, დასტკბეს საუცხოვო ნაწარმოებით ზეგარდამო-შთაგონებული მწერლებისა. ეს არის ნიშანი, წინდი ლიტერატურის აყვავებისა... მაგრამ ამასთანავე ეს ჩვენთვის ჯერედ მიუწდომელი იდეალია; ბევრი

*) ეს წერილი მოგვივიდა ერთის პატივცემულის პირისაგან და ვბეჭდავთ აქ სრულის თანაგრძნობით.

რედ.

«დროების» ფელეტონი, თებერვ. 7-ს

### ბიბლიოგრაფიის მაგიერ

(წერილი რედაქტორთან)

ჟურ. «ივერია» №№ IX და X სექ. და ოქტ.

ბ-ნო „დროების“ რედაქტორო! რადგანაც დიდი ხანია თქვენს გაზეთს ბლარ გაუცნობებია მკითხველ საზოგადოებისთვის სხვა-და-სხვა დრო გამოშვებითი ქართული გამოცემები და ახლად გამოსული წიგნები, ამისათვის ნებას მივსცემ ჩემს თავს ცოტათიც არის შევავსო ეს ნაკლი და ჯერ-ჯერობით შევეხო ჩვენს ერთად ერთს სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალს «ივერიას». პირველად მინდა შევიტყო მიზეზი თქვენის გულ-გრილობისა ამ გამოცემათადმი. იქნება მიზეზად თქვენ ის მოიყვანოთ, რომ უკანასკნელნი დრო გამოშვებითნი გამოცემანი, არასფერს შესამჩნევს წარმატების ნიშნებს არ წარმოადგენენ! ეს საბუთი იქნება სხვებს ნამდვილ საბუთად ეჩვენოს, მაგრამ ჩემი კი რა მოგახსენოთ. მე თუ მკითხავთ, თქვენ მაშინაც მოვალე ბძანდებოდით გეთქვათ რამე, როდესაც არასფერს შესამჩნევს თვისებას ისინი არ წარმოადგენდენ; მაგ. თუნდა იმის ასახსნელად, რამ დაუკარგა მათ შესამჩნევნი თვისებანი? მაგრამ მაგნაირი შეხედულება ჩვენს გამოცემებზედ სრულიად შემცდარი თუ არა, გაზვიადებული მაინც არის. რომ არა ვსტყუი, დასამტკიცებლად ავიღოთ «ივერიის» №№ IX და X 1884 წლისა და მოკლედ გადავავლოთ თვალი. მგონებ ესეც საკმარისი იქნება იმ მარგალიტების საპოვნელად, რომლებისთვისაც თვალი არ უნდა აგერიდებინათ.

როგორც „ივერიის“ №№ IX და X ყდის წარწერა უჩვენებს, ეს წიგნი არის ორის თვის ნამუშევარი: სექტემბრისა და ოქტომბრისა; მაგრამ სისქით კი იმოდენავეა, რამოდენიც წინედ თვითო თვიური წიგნი გამოდიოდა. ეს არაფერი, თუ ორის თვის ნამუშევარი შინაარსით მაინც მდიდარია. ამასაც ჩქარა დავინახავთ. წიგნსა აქვს 112 გვერდი; ამათში 22 გვერდი ეკუთვნის ორს წერილს: „წერილს მიზიყიდამ“—მ. ნასიძისას და „შენიშვნებს ჩვენს ცხოვრებაზედ“; გვერდ-ნახევარიც სახალხო ლექსებს. დანაშთენი $88^1/_2$ გვერდი უჭირავთ არქეოლოგიურს საგნებს და უცხოელთ ტვინის ნაღვაწევთ. ამათშიაც ოთხი წერილი შეეხება არქეოლოგიას და ორი „პრიჟანგი“ მოლიერისა და „საძაგელი იყო“ ბელეტრისტიკას. ამ ნაირად მთელი წიგნი მოცულია არქეოლოგიის ნისლით და დაჩრდილულა პესონელის და მოლიერის წერილებით. თვით რედაქციის ორის თვის ნაშრომ-ნაამაგდარევი მოთავსებულია შვიდ ფურცელ ნახევარზედ. ამის შემდეგ კიდევ მიბძანებ, ბ-ნო „დროების“ რედაქტორო, რომ შესანიშნავს არას წარმოადგენს „ივერიაო“? შესანიშნავი არ არის, მა რა არის, ორ თვეში ერთხელ ელირსოთ „ივერიის“ დანახვა და ისიც ესე მდიდრულად მოკაზმულისა?!

მგონებ, შარშან რაღაც ახალი საზოგადოება სდგებოდა და ახალის ჟურნალის გამოცემა უნდოდა კიდევ არქეოლოგიური ნეტა ვიცოდეთ, სად არიან ის პირნი, რომელნიც აპირებდენ ამ ახალის რედაქციის შედგენას და ჟურნალის გამოცემას, „ივერიის“ რედაქციაში ხომ არ შეფარებულან? თუ ჯერედ არ შესულან, რაღას იგვიანებენ, ამაზედ უკეთეს დროს როდისღა ეპოვიან? რომელი წერილი ჰსურთ მიიტანონ, რომ არ დაუბეჭდონ? რომელს მათგანს უნდა რედაქციაში შესვლა რომ არ უთხრან: „მოვედინ და დასხედით სადგურსა „ივერიისასა“, რამეთუ თქვენთვის და თქვენისთანათათვის არს იგი გამზადებული.“ ხუმრობა თავისთვის იყოს და არ იქნება, რომ შუაზედ მაინც გაიყოს „ივერიის“ მოღვაწეთ რიცხვი და ნახევარი თუ იარქეოლოგებს, ნახევარს მაინც ეპუბლიცისტა! ღმერთმანი, თუ საქმე ასე მოხერხდებოდა, მეტად დაგვამადლებდენ; თორემ, ვაი, თუ მარტო არქეოლოგიამ ვერ გვაცხონოს, როგორც ვერ აცხონა მ. ჯანაშვილი „ივერიის“ თვალში; მაგრამ მ. ჯ—ლი შემდეგ იყოს. დავანებოთ ეხლა თავი ამ არქეოლოგიას და სხვა გვარ წერილებს მივმართოთ.

პირველი ადგილი წიგნში უჭირავს მოლიერის „პრიჟანგს“. ეს კომედია, რასაკვირველია, თავის დროს და თა-

დრო გავა იქნობამდე, ბევრი კოკა წყალი ჩაივლის, სანამ იმ ნეტარად-მოსალოდნელ დღეს მოვესწრებოდეთ, როდესაც ლიტერატურული შრომა თავის მშრომელს დაარჩენს; ამიტომ გვმართებს ვიფიქროთ იმისთანა დაწესებულებაზე, რომელიც ნეტარ-ხსენებულმა რუსის მწერალმა ა. ვ. დრუჟინინმა დააარსა რუსეთში 1859 წელს.

მე ვამბობ ლიტერატურულ ფონდზე. ჩემის აზრით, თუ ვინმე გამოჩენილმა პირმა იკისრა ჩვენში ამ საქმის ხელის მოკიდება და ენერგიულად წაიყვანა იგი, უეჭველია მას, როგორც ჩვენი სამშობლოსათვის სასიქადულო საქმეს, ბევრი წევრი გამოუჩნდება. ღიალაც, ვინც ნაციონალური მწერლობის წინ-წაყვანას შენატრის, ვინც ჩვენი ხალხის სულიერად, გონებითად და მატერიალურად ამაღლებას შეხარის, არ დაიშურებს, შეძლებისა და გვარად, მოუმართოს ხელი ამ საქმეს და ამ საზოგადოების წევრად გახდეს. რასაკვირველია, საფიქრებელიც არ არის, რომ ამ დაწესებულებას ისეთი წლიური შემოსავალი ჰქონდეს, როგორიც რუსეთის ლიტერატურულ ფონდს, რომელსაც დაარსების პირველ წელს 35,163 მანეთი შემოუვიდა, მაგრამ მეოცდა-ათე ამის ნაწილიც რომ შემოვიდეს წლის განმავალობაში, ისეც—შედარებით—დიდს საშუალებას შეადგენს ჩვენთვის და არა ერთ გაჭირვებულ მწერალს გამოიხსნის შევიწროებულ მდგომარეობიდან.

საჭიროდ არა ვრაცხ საუბარი გავაგრძელო ამ დაწესებულების ფრიადს სარგებლობაზე, რადგანაც არა ვფიქრობ, რომ ამის შესახებ, ვინმემ ეჭვი შემოიტანოს.

არაფერს ვამბობ აგრეთვე ამ საზოგადოების წესდებაზე, რადგანაც, თუ ღმერთმა ინება, გამოუჩნდენ ამ აზრს თანამგრძნობნი და დაარსდა საზოგადოება, მაშინ წესდების შედგენა გასაჭირი არ იქნება, ამიტომ რომ ეს უკანასკნელი, ცოტაოდენის განსხვავებით, იქნება პირი ამ გვარივე რუსეთის საზოგადოების წესდებისა.

ა. გოგოლეთელი.

## შინაური ქრონიკა

— ამ დღეებში ,,ახალი მიმოხილვა'' იტყობინებოდა, რომ თბილისის განყოფილებამ სახელმწიფო ბანკისამ თამამშოვის სახლი იყიდაო. ეს ამბავი მართალი არ გამოდგა: სახელმწიფო ბანკის განყოფილებას ჯერ არ გადაუწყვეტია, თუ რომელი სახლი შეიძინოს.

— თელავიდან გვწერენ: ,,თებერვლის 2-ს აქ იყო გამართული ,,ბალი'' სასარგებლოდ ,,წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა''. მეთაურად ამ საქველ-მოქმედო საქმისა გახლდენ: დამხმარებელი წევრი საზოგადოებისა კ-ნა ანასტასია დავითის ასული ჩოლოყაშვილისა და ამათი მეუღლე თ-დი ნიკ. ჩოლოყაშვილი. საზოგადოება ბლომად დაესწრო ამ ბალს, ასე რომ არამც თუ კლუბის ზალაში, სხვა ოთახებშიაც ტევა არ იყო.

თელავის საზოგადოებამ ,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას'' წელს საკმაო თანაგრძნობა გამოუჩინა არამც თუ მარტო ამ ბალის გამართვით და მასზე დასწრებით, არამედ წევრებად ჩაწერითაც: ერთს საღამოს ბ-ნი ნიკ. ჩოლოყაშვილის სახლში ორმოცი პირი ჩაეწერა წევრებად.

— მწყემსის მე-3 №-ში ვკითხულობთ: ,,ამას წინად ჩვენს მაზრაში (ლეჩხუმში) მოვიდა გუბერნიის ექიმი და დაათვალიერა როგორც სოფ. ცაგერი, სადაც ახლა დაბინავებულია სასამართლოები, ისე განადგურებული ლაილაშიც. ამბობენ, ექიმს ეს უკანასკნელი უფრო უნდა მოსწონებოდეს ჭკუაში თავის მდებარეობით, წყლით, ყოველ გვარი ბუნებით და ცხოვრებისათვის საჭირო მასალებით. აქ უფრო შესაძლოდ და მოხერხებულად დაუნახავს დაკმაყოფილება ჰიგიენურის ყოველ გვარის მოთხოვნილებისა, და ექიმი დაჰპირებია აქაურს მცხოვრებლებს, როგორც ეს უკანასკნელნი ამბობენ, აფთიაქისა და საავადმყოფოს დაარსებას ლაილაშში, და აგრეთვე ბებია ქალის გაწესებასაც.''

— ,,მმართებლობის მოამბეში'' გამოცხადებულია ის ფასები, რომელნიც დაუნიშნავს ფინანსთა მინისტრს სარგებლიან ქაღალდების გირაოდ მისაღებად სახელმწიფო იჯარებში წლევანდელი წლის იანვრის 1-დან ივლისის 1-მდე. ამ განცხადებიდან სჩანს, რომ კავკასიის საკრედიტო დაწესებულებათა გირავნობის ფურცლები მიიღებიან გირაოებად შემდეგი ფასებით; 1) თბილისის საკრედიტო საზოგადოებისა 5% ობლიგაციები რომელთა დარქმეული ფასები 100 მანათია, 60 მანათად; 2) თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის 6% სარგებლიანი გირავნობის ფურცლები, რომელთა დარქმეული ფასი 100 მანათია, 62 მანათად; 3) ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის 6% გირავნობის ფურცლები, რომელთა დარქმეული ფასი 100 მანათი არის—63 მანათად. ორთავე ამ ბანკების გირავნობის ფურცლები გირაოდ მიიღებიან მხოლოდ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო იჯარებში.

— «კავკაზში» სწერია, რომ კავკასიის მთავარ-მმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი თებერვლის 14 წამოვა პეტერბურგიდამ კავკასიაშიო.

— გამოვიდა იანვრის წიგნი ჟურნალი ,,ივერიისა'' რომელიც შემდეგს შინაარსს შეიცავს: I ასული ფარაონისა (ისტორიული რომანი) გეორგ ებერსისა. II «ქართლის-ცხოვრების» პირველ-გარდმოცემათა წყარონი და მათი ხასიათი, წერილი დიმ. ბაქრაძისა. III სახალხო ლექსები. IV პედაგოგიური მოსაზრებანი, მიხ. ნასიძისა. V ქართველთ ძველებური საერო გართობა-ასპარეზობანი, პეტერბურგელის სტუდენტისა. VI ქართული თეატრი ზ—სი. VII მიხრწნილი (ლექსი) თ. რაფ. ერისთავისა. VIII ქარაჩოღელი ლოთი (ლექსი) აკ. ცაგარლისა. IX ბიბლიოგრაფია, მოსე ჯანაშვილისა. X განცხადებანი.

## „დროების“ კორესპონდენცია.

სურები, იანვრის 30-ს. ეს 1885 წელი არა ჩვეულებრივი წელია ჩვენთვის, მას განსაკუთრებითი ფასი აქვს ყველა სხვა წარსულ წლებთან შედარებით. ამ წელმა უნდა გვაჩუქოს ჩვენ ისეთი განძი, რომელიც დიდი-ხანია მთელი კაცობრიობისაგან აღიარებულია ცხოვრების გასაუმჯობესებელ ერთ უუმთავრესს სახსრად. ამ წელმა უნდა აგვიშენოს ჩვენ სწავლა-განათლების ტაძარი,—უნდა მოგვცეს სახალხო სკო-

---

ვის ალაგას შესანიშნავი ლიტერატურული მოვლენა იყო და დღეს კი ვგონებ იქაც ეკუთვნის ისტორიას და ჩვენს ცხოვრებასთანაც მეტის-მეტად შორეული კავშირი აქვს. რაც შეეხება თარგმანს გვარიანია. მაინც და მაინც მისი დაუბეჭდაობა, თუ დაბეჭდვა დიდი არაფერი იქნებოდა ჩვენის ლიტერატურის სალაროსათვის.

მეორე ადგილი წიგნში უჭირავს ბ. მ. ნასიძის კორესპონდენციას ქიზიყიდამ. ეს წერილი რომ არ იყოს ,,ივერიაში'', კაცი ვერცკი გაიგებდა ამ ჟურნალში შესაძლოა თუ არა გარდა არქეოლოგიის წერილებისა კიდევ სხვა გვარის წერილების ბეჭვდა ჩვენს ცხოვრებაზედ. კორესპონდენცია მოკლეა და ჩვენც მასზედ ბევრს არ ვილაპარაკებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ბ. მ. ნასიძე თან-და-თან მწერლობას ნიჭს იჩენს. თუ თვალი გიდევნებიათ მისს მცირე ნაწერებისთვის, იმათ რაღაც თავისებურობა ეტყობათ. ბ. მ. ნასიძე თავის ტვინს ამუშავებს და ისე სწერს; ამისთვის პირფერობა არ იქნება რომ ვსთქვათ: მას შეუძლიან ჩვენს ღარიბს ლიტერატურაში ფეხი ჩასდგას; მხოლოდ უნდა ორი პირობა აასრულოს: 1) არ უღალატოს თავის თვით-მსჯელობას და არ გაჰყვეს პარტიობის პრინციპს, რომელსაც დღეს მთლადა ჰყავს გატაცებული ჩვენი ახალ-გაზრდობა და 2) ხშირად დაიწყოს წერა. თუმცა ეს ასეა, თუმცა მისი კორესპონდენცია არ არის მოკლებული მარილ-წყალს, აქვს თავის შესაფერი მსჯელობა, მოხდენილი დაცინვა და პირ-უთვნელობა, მაგრამ ის მაინც ვერ ასცილებია ერთ-მხარეობას შესახებ ერთის საგნისა. ეს ისეთი საგანია, რომელსაც ყველანი ბ. მ. ნასიძეს თვალით არ უყურებენ და მაშასადამე ,,ივერიის'' რედაქცია თუ არა, ,,დროებისა'' მაინც მოვალე იყო შეჰხებოდა ამ საგანს და შემდეგ კარგად აწონ-დაწონისა წარედგინა მკითხველთათვის. მე მოგახსენებთ რკინის-გზის შტოს გაყვანაზედ სიღნაღის მაზრაში*). ბ. ნ. უარს-ჰყოფს ამ შტოს გაყვანის სარგებლობას და ,,ივერიის'' რედაქცია თავისის სიჩუმით მას ბანს ეუბნება. ბ. მ. ნ—ის მოსაზრებით ეს რკინის-გზის შტო იქნება ჩვენთვის მავნებელი იმიტომ, 1) რომ ჩვენს ღვინოს უცხოეთში გაიტანს და ჩვენ ბახუსის მლოცველნი შეგვიმცირდებიან (ბ. ნ. არ ამბობს ეს ღვინის გატანა ეკონომიურად ჩვენთვის მაწყინარი იქნება თუ მარგებელი. მისი შეხედულებით გამოდის, რომ რკინის-გზა, როდესაც ღვინოს გაზიდავს, ჩვენ არაყი-ღა დაგვრჩება და არყის სმას შევეჩვევით. ამას, და მხოლოდ ამას, უსაყვედურებს რკინის-გზის მომხრეთ), 2) რკინის-გზა დაგვახვევს ათას ჯურის კაცებს, რომელნიც ჩვენს მიწა-წყალს ხელიდამ გამოგვაცლიან; 3) გლეხობა თუ არა, თავადობა მაინც გაუფრენელს არ გაუშვებს თავის მამულს რკინის-გზის წყალობითაო და 4) ჩვენი ,,კნეინები'' და ,,კნიაჟნები'' აქ აღარ დაგვიდგებიანო. აი, ესენი გახლავან ბ. ნ—ის დაურღვეველნი სიგელნი ქიზიყის რკინის-გზის მავნებლობისა. რასაკვირველია, რომ იმ ქიზიყელთ, რომელთაც ბ. გუბერნატორს ურმით არზა მიართვეს, იქნება პირდაპირ ჭეშმარიტებად მიიღონ ბ. ნ—ის სიტყვები და მეორე ურმით რკინის-გზის მმართველობას გაუგზავნონ არზა: აქ არ მოხვიდეთ ჩვენს დასაღუპავად, თორემ მამა პაპურად პანტის ხის ზარბაზანს გავაკეთებთ და მთლად ამოგწყდებით, ან ამოგწყვეტავთო. აი, ამისთანა საგანზედ ლაპარაკი აღძრულა ბ. ნასიძის წერილში და როგორც ,,ივერიის'', ისე ,,დროების'' რედაქციებო ხმას არ იღებენ. თუ ამნაირი ღვთის-რისხვა იყოს ჩვენთვის ეს რკინის-გზა, ყოველი ჩვენთაგანი და განსაკუთრებით რედაქციები უნდა წინააღმდეგნი გახდომოდენ, მაგრამ, ვგონებ იმათაც არა სჯერათ ამნაირი მავნე შედეგი. ჩემის აზრით, ეს შიში ისეთ რიგადვე უსაფუძვლოა, როგორც შიში დოსგან გაფუფქვისა. ბ. ნ—ეს და ბევრს სხვებსაც კარგადა აქვთ ტვინში ჩაბეჭდილი, რომ ჩვენგან მოპატიჟებულებმა მელქომ და ზალუსტამ ლამის ჩვენი ტყავიც აღარ დაინდონ საგლეჯად და აქედამ გამოჰყავთ დასკვნა, რომ ყოველი უცხოელი და უცხოური ჩვენი მომწამლავი და საწამლავი იქნებაო. ამნაირი სარჩული უდევს, ვგონებ, ბ. ნასიძის საქიზიყო რკინის-გზის სარგებლობის უარ-ყოფასაც. მაგრამ ეს სარჩული ისე სუსტია, რომ ხელის შეხებითვე იხევა. ავიღოთ პირველი საბუთი: ღვინოს დაგვიძვირებსო. რას იტყვის ბ. ნ. თუ მათემატიკურს აქსი-

*) ავტორს რომ ყოველთვის თვალი ედევნებინა ჩვენის გაზეთისთვის, არა ერთსა და ორს თანაგრძნობის წერილს ნახავდა ამ გზის შესახებ.

რედ.

ლა.—დიდი ხანია მას აქეთ, რაც ოზურგეთის მაზრის მმართველებმა სკოლის გახსნა აუცილებელ საჭიროებად დაინახეს, მაგრამ ვერ ახერხებდენ, რადგანაც ადგილობრივნი მცხოვრებნი ცუდის თვალით უყურებდენ ამ საქმეს. ერთი მათგანის თანაშემწეს განსვენებულს ა. ნაკაშიძეს, რომელიც ყველაზედ უფრო ძალიან ცდილობდა სკოლის გახსნას, საგრძნობელი შეურაცხებაც კი მიაყენეს და ისე გაისტუმრეს სოფლელებმა. მაგრამ ამ უკანასკნელ მმართველის ხელში რალაც სხვა ნაირმა ნიავმა დაჰქროლა ჩვენს გლეხებს, დაუკვირდენ ესენი ცოტათი ცხოვრების ჩარხის ტრიალს და გაიგეს, რომ აუშორებლად საჭირო მათთვის წერა-კითხვის ცოდნა მაინც. ამის შემდეგ იმათ თავის თავად მოისურვეს სკოლის დაარსება და, როგორც მკითხველსაც ეცოდინება, შარშან ადმინისტრაციის მოხელეს თანადასწრებით შეადგინეს განაჩენი, რომლის ძალითაც ისინი კისრულობენ სკოლის შენახვას, მაგრამ უკიდურესი სიღარიბის გამო ჩვენ, გლეხებს სურვილი შეუსრულებელი დაგვრჩებოდა, თუ რომ პატივცემულ „წერა-კითხვის საზოგადოებას“ არ გავემხნევებინა უხვი შემწეობის დაპირებით. მართლა საგრძნობელია ეს შეწევნა და თუ ის მოგვაკლდა, იძულებული ვიქმნებით სკოლის გახსნას თავი დავანებოთ. იმედია, რომ მმართველობაც, რომელიც ასე მეცადინეობდა ჩვენი განათლებისათვის, აღმოგვიჩენს მამობრივ შემწეობას და საქმეს კეთილად დაგვაგვირგვინებინებს. მაშ აღარ ვეჭვობთ, რომ მომავალ სექტემბრის თვეში ჩვენს ველურ მთებშიაც გაისმება სკოლის შეგირდების და მასწავლებლის ხმა, თუ რომ ხელის მეშლელი არსაიდამ არ გაგვიჩნდა. მაგრამ განა იქნება ისეთი ვინმე, რომ ჩვენ ამ საქმეში ხელი შეგვიშალოს!?

სურებელი.

## წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო! იმ დროს, როდესაც მთელი ქვეყნის ყურადღება იმაზეა მიქცეული, თუ როგორ ეწინაალმდეგონ საშინელს ჭირთა მეფეს ხოლერას, ჩვენი ქალაქი ტფილისი ჯერ-ჯერობით არაფერს ზაიზურშია, ყურსაც არ იბერტყავს. დროა, ეხლავე შევუდგეთ ჩვენი ქალაქის გასუფთავებას, თორემ, როცა ხოლერა თავზე წამოგვადგება, მაშინ გვიან იქნება. ღმერთმა ნუ ჰქნას და თუ ქალაქში ხოლერა გაჩნდა, პირველად სასტუმროების და სხვა-და-სხვა ტრაქტირდუქნების მოსამსახურეთ დაეძგერება, რადგანაც მათ საშინლად უსუფთაო სადგომი აქვთ. მეითმე, ამ სტრიქონების დამწერს, სხვა თორმეტ მოსამსახურესთან ერთად გვძინავს ისეთს სარდაფში, სადაც არსაიდამ ჰაერი არ მოშაობს. თუმცა ყველა სასტუმროში საკმაო ოთახები არის, მაგრამ სასტუმროს პატრონებს იგინი მოსამსახურეებისთვის არ ემეტებათ; არამც თუ ოთახები არ ემეტებათ, საჭმელსაც კი, სანამ არ აუყროლდებათ, არ გვაძლევენ. მე შემეძლო დამესახელებინა ამისთანა უსუფთაო სასტუმროები, მაგრამ რომ გამიგონ, არამც თუ ამ ადგილიდამ დამითხოვენ, სხვაგანაც გზას შემიკრავენ. კარგი იქნება, რომ ან პოლიციამ და ან სანიტარულმა კომისიამ სასტიკად გამოიძიონ სასტუმროების მოსამსახურეთა ყოფა ცხოვრება და მცირედაც არის გააუმჯობესონ, თორემ დღეში რომ ათი მოსამსახურე მოკვდეს, სასტუმროს პატრონი ყურსაც არ გაიბერტყავს, რადგანაც ტფილისში მოსამსახურეთა რიცხვი ნამდვილს მოთხოვნილებას ბევრით აღემატება.

ერთი მოსამსახურეთაგანი.

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

თებერვლის 5-ს

**ოდესა.** ოდესის რეიდი სრულიად გაიწმინდა ყინულისგან; გემებს გაცხარებულნი სტვირთავენ ხორბლით; ხორბლის ფასი შესამჩნევად მატულობს.

**პეტერბურგი**, იანვრის 6-ს. სენატის გადაწყვეტილებით საკუთრების მქონე გლეხებს, რომელთაც ჯერ არ შეუტანიათ ხაზინაში გამოსასყიდელი ფული, არ შეუძლიანთ გადაიტანონ შენობები, აშენებულნი მათს კუთვნილს მამულზედ.

**ათინა.** სამინისტრო სამსახურიდამ გამოვიდა, რადგანაც პალატამ უნდობლობა გამოუცხადა.

**კაირი.** ხედივის ძმა, პრინცი ხასანი, რომელიც უელსელისთან სამოქალაქო კომისრად დაინიშნა, ამ დღეებში კორტში მიდის.

**ბერლინი.** ესპანია-გერმანიის სავაჭრო პირობის თანხმად გადაწყდა, რომ სამის მარკის ბაჟის მაგივრად გამოერთვას თითო მარკა ყოველ ას კილოგრამ ჭვავის პურზედ, რომელიც კი შემოტანილი იქნება, ერთმანეთთან ეკონომიურად კეთილ განწყობილი სახელმწიფოებიდამ, როგორც მაგ. ჩრდილოეთის შტატებიდან.

რეიხსტაგმა მიიღო ბაჟის მომატების კანონი და დასთანხმდა, რომ იგი არ შეეხებოდეს იანვრის 15-დინ შეკრულ პირობებს. ეს კანონი არ შეეხება ზეთის გამოსახდელ თესლეულობას: ზეთს ბოჭკებით და სახამებელს.

## განცხადება

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ. სახებით, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლებლად; ადამიანცი—9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლებლად; ბენქლევსკი—10—11 საათამდე.—საქირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლებლად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ქირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის

---

ომახიანით დავუმტკიცეთ, რომ ღვინო უიმისოდაც მუდამ დღე გვიძვირდება და მისს ბადლად კი არაფერი გვეძლევა? ის ემჯობინება—პატრონს თხა გამოართონ და თხის კუდიც აღარ არგუნონ, თუ თხა გამოართონ, მაგრამ მისს სალირალი კი მისცენ? მე მგონია, რომ მეორე შემთხვევას ამჯობინებდით. ამნაირადვე დღეს ჩვენი ღვინოები უგზოობით და ჩვენის შეუძლებლობით გადადის პოლოსას და მელქოს ხელში, რომელთაც მხოლოდ ათი და ოცი თუმანი აქვთ, ისიც ჩვენის ჯიბიდგან სადმე დღეობაში ამოცლილი. დღეს ეს პირნი თითქმის მუქთად მიეზიდებიან ჩვენს ღვინოებს და მის ბადლად შემოაქვთ ჩვენს სოფლებში ყოველ გვარი გარყვნილება და ავაზაკობა. დაკვირვებიხართ თუ არა, რომელს სოფელში უფრო ხშირია უზნეო ქცევა? აბა, ჰკითხეთ სოფლელებს, თუ არ გითხრან, რომ რაც ეს ბ. მელქო აქ ჩამოსახლდა, მას აქეთ ამ სოფლის ქალსა და რძალს ლეჩაქი აეხადაო, ყმაწვილ-კაცობა სულ წაიპილწაო. დღეს მოსალოდნელია, რომ მათ თავიანთ თარეშობას სოფელ-სოფელ უქლონ რკინის-გზის წყალობით და ბ. ნ. კი გაიძახის „არ გვინდა რკინის გზაო“. ზანა წარმოსადგენია, რომ უცხოელთ იმაზე მეტად დღე გაგვიმწარონ, როგორც ჩვენის სუფრიდგან ნახორხლებით დატიკულები გაგვიმწარებენ? ზანა ისინი უფრო მეტს ფასს არ მისცემენ ჩვენს ღვინოში, ვიდრე რომელიმე ადგილობრივი კაცი-ჭამია (ნამდვილი ხალხისაგან გამოთქმული სახელი გახლავსთ ერთის სირაჯისა), რომელსაც სადმე ნათლი-მამა გაუქურდავს, მოუპარავს ათი თუმანი და ამ ფულით თავისი ბინძური საქმეებიც უნდა ჩაიდინოს, თავისი ხანუმაც ქათიბით ატაროს, თავისი შუშანაც ინჯინერს მიათხოვოს და ასი-ორასი თუმნის თანხაც ვაიკეთოს? თუ მაინცა-და-მაინც არც ერთი და არც მეორე ჩვენს სიკეთეს არ გვიზამენ, მაინც რომლისკენ უფრო უნდა მიგვიწევდეს გული. იმისკენ, რომელსაც ყოველი ჩვენი ქონება მისთვის მოუნდომებია, რომ თავისი პირუტყული მოთხოვნილება დააკმაყოფილოს, თუ მისკენ, ვინც, შესაძლოა, ჩვენი ქონება თვითონ მაინც კეთილ საქმეზედ მოიხმაროს? ძაღლი რომ კვდებოდეს და სარჩოს სტოვებდეს; ვის ამოირჩევს თავის მემკვიდრედ—იმ ავაზაკს, რომელმაც მიიყვანა იგი სიკვდილამდის მხოლოდ მისთვის, რომ მისი ქონება ხელთ ეგდო და თავისი ავაზაკობა უფრო გაეფართოვებინა, თუ გარეშე პირს. მაგრამ ჯერ საქმე ასე არ დასდგომია ძიზიყს და არც დაუდგება, თუ რომ ადგილობრივს კაცი-ჭამიებს მეტოქეებად უცხოელნი ეყოლებიან. ამას გარდა განა ჩვენი სულის დგმა იმაში არის, რომ ღვინო გვაქვს, და თუ ამ ღვინოს მოვშორდით, უთუოდ უნდა დაღუპვას მოველოდეთ? სულაც არა. ჩვენი ქვეყანა ბევრნაირად არის მდიდარი და ეს რკინის გზა არის ერთ საუკეთესო იარაღთაგანი ამ სიმდიდრის გამოჩენისა და მაშასადამე ჩვენის ხალხისთვის ახალის სიმდიდრის თუ კეთილ-დღეობის მომასწავებელიც. მგონებ, ბ. მ. ნ. ამ მხრივ არ შეჰხებია საგანს, თორემ შესაძლო იყო წინააღმდეგი აზრი გამოეთქვა იმისა, რასაც ეხლა ამბობს. მეორე მუხლი მისის უარ-ყოფისა სრულიად ჩამოაგდებს პირველს და იმასავით უსაფუძვლოა: თუ დღეს მამულები გვერთმევა, ეს სულ სხვა ქარის წყალობაა და არა რკინის გზისა. მესამე მუხლი—თავადების მამულები უსათუოდ დაფრინდებიან რკინის გზითაო—ხომ სულ ხუმრობასა ჰგავს. თუ გლეხობის მამულებს უცხოელთ ტალღები ვერას დააკლებენ და მარტო კეთილ-შობილთ მოელისთ ხიფათი, ეს ალბად იმიტომ მოხდება, რომ იმათ თავიანთ მამულების შენახვა ჭერა სცოდნიათ და რკინის გზა იქნება თუ სხვა რამ—ეს სამწუხარო ბედი მომავალში მაინც არ ასცდებათ. რაც შეეხება მეოთხე მუხლს „კნეინების და კნიაჟნების“ გაფრენას რკინის გზით—ეგ კი მართალიც არის და სამწუხაროც, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ—ჭირსა შინა გაძლება უნდაო. მით უმეტეს, რომ მეორე ანდაზა გვეუბნება: თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდამ მოვაო. ასე ბატონო მ. ნ. იქნება ჩვენც ისე მოგვდიოდეს ამ რკინის გზის სარგებლობის გამო ზაახი, როგორც იტყვიან: ჯერ არ დაბადებულიყო, აბელს არქმევდენო. უმჯობესია, აქ შევაყენოთ ჩვენი ლაპარაკი, მით უფრო რომ კიდევ სხვებზედაც გვინდა ცოტაოდენი რამა ვსთქვათ. აგრეთვე დავანებოთ თავი „სახალხო ლექსებს“ და პირ-და-პირ გადვიდეთ მლ. მამულაშვილის თარგმანზედ — „საძაგელი იყო.“

(დასასრული ხვალ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწამლველად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლველად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

**საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ევრმიშევი** ამით აცხადებს, რომ ქ. ტფილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შელავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

**ექიმები:**

**არუთინიანი**, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა**, სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადანოვი**, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილჩაკოვისა**, სამშაბათობით.

**ბაგინოვისა**, ორშაბათობით, და პარასკევობით.

**სტეფანოვისა**, ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოქშისა**. ხუთშაბათობით და კვირაობით.

**მაზანდა**

ხორაგისა, რომელიც იყიდება ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 თებერვლიდამ 1 მარტამდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| აჭაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | 2½ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | 4½ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა— — | —1 | გ. | 2½ |
| ჯვარის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | 4½ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 3½ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 8 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | 7 კ. |

# განცხადებანი

**ტფილისის მესჩანის გამგეობა**

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა თებერვლის 20-ს მოხდება ამორჩევა მესჩანების სტარშინისა და ამის კანდიდატისა და სთ.ხოვს დეპუტატებს, რომელთაც გაეგზავნათ მოსაწვევი ქაღალდები — მობრძანდენ გამგეობაში. (1—1)

მისის მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობის არქიეპისკოპოზის პავლეს საქართველოს ეგზარხოსის განკარგულებით დანიშნულ იქმნა ტფილისში ზოგიერთ ეკლესიებში სახალხო სარწმუნოების საკითხავი, საეკლესიო ისტორიულისა, დოღმატიკურისა და ზნეობითი სწავლისა; მათ შორის ჩემდა რწმუნებულს ფერი-ცვალებისა ანუ დარიის მონასტერშიაც თანა-მშრომლობითა ჯერ-ჯერობით მღვდლის ალექსანდრე ქავკასიძისათა, იქნებიან საკითხავნი დიდ-მარხვის პირველის კვირიაკიდგან, კვირაობით საღამოს ხუთს საათზედ ქართულს ენაზედ...

(1—1) არქიმანდრიტი კესარიოსი.

მსურველს შეუძლიან შეიძინოს გაზ. „ქავკაზის“ 1882, 1883 და 1884 და აგრეთვე გაზ. „ნოვოე ობოზ.“-სა 1884 წ.წ. სრული ეკზემპლიარები 20 მან. ,,დროების‘‘ ექსპედიტორისაგან, (5—3)

**UN FRANÇAIS**

Professeur de langue et de littérature françaises désire donner des leçons.

S'adresser: Librairie Boerenstamm (10—7)

**ყავა მოკკა**

ს. სიუ და კო.

(Ц. 2592). (46—1)

**ინგლისური რკინის კრაოტები.**



ერთის საწოლი 6 მანეთიდგან და ორის საწოლი 10 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 4-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25⁰/₀-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საყარაქე, სამაქრე, კოვზები, შეფილდის დანები ჩანგლებით, სამართლებლები, დასადგმელი პირის საბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაო, სვები, რიუმკები, საქაშური თებშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარმეველები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, პრობკის ამოსაღები, პრობკები, კლიტეები, გასაღებები, კრანტები, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიყები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, ვატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკები, რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები, ბომაზეი და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94, 93, 91, და 90, 89, 88, 87, 86, და 85, უდიდესი ჩაის მაღაზია ტფილისში. (100—1)

გამოვიდა და ისყიდება

**ზღაპრული პოემა გ. წერეთლისა**

# ლოთ-კაცი

გამოცემა «ნობათი»-ს რედაქციისა, ვენაში და პეტერბურღში ცინკოგრაფიით დამზადებულის სურათებით. ფასი ყველგან სამი აბაზი.

**ისყიდება:** თბილისში—«ნობათი».ს რედაქციაში, გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, ვ. შავერდოვის სააგენტოში და ქუთაისში—ძმ. ჭილაძეთა წიგნის მაღაზიაში. გორში—ს. მგალობლიშვილისას. თელავში—ივ. როსტომაშვილისას. ბათუმში—მოსე ნათაძისას.

ვინც პირ-და-პირ «ნობათი»-ს რედაქციიდამ ათს ეგზემპლიარს დაიბარებს, წიგნი ეღირება ათი შაური. (10—6)

**გაყიდვა 5⁰/₀ სახელმწიფო მოგები ბილეთებისა**

ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ბილეთები იყიდება ს. პეტერბურგის ბირჟის ოფიციალურ ფასად; ყიდვის დროს უნდა შემოტანილ იქმნას 20 მან. ბილეთზე, დანარჩენი ფულიკი უნდა შემოიტანოს მყიდველმა თვე-და-თვე, როგორც თვითონ განსაზღვრავს—თითო თუმნობით, თუ ხუთ-ხუთ მანათობით. ვადაზე შემოსატანი გადასახადის დამგვიანებელს ეძლევა კიდევ 30 დღე საშეღავათოდ. ზეის მიცემის დღიდან ყოველივე მოგება, რომელიც ხვდება ნაყიდს ბილეთს, სრულად ეკუთვნის მყიდველს. კანტორის სასარგებლოდ არაფერი არ გამოერიცხება მოგებს. ბილეთის მყიდველს ეკუთვნის აგრეთვე ყოველივე მოსალოდნელი საკურსო ფასის მომატება ბილეთზე. მოგების ტირაჟი არის ხოლმე: პირველი სესხის ბილეთებისა— იანვრის 2-ს და ივლისის 1-ს; მეორე სესხის ბილეთებისა მარტის 1-ს და ენკენისთვის 1-ს ყოველ-წლივ შემდეგის პლანით: ერთი მოგება არის 200,000 მანათიანი, ერთი 75,000 მან., ერთი 40,000 მანათიანი, ერთი 25,000 მანათიანი, სამი 10,000 მან., ხუთი 8,000 მან. რვა 5,000 მან. ოცი 1000 მან. და ორას სამოცი 500 მანათიანი. მომგები ბილეთის დაზღვევა რომ ტირაჟში არ გამოვიდეს ღირს—ათი შაური ბილეთზე. **აგენტი ს. პეტერბურგის ბანკირის ф. ა. კლიმის კანტორისა: ი. ქ. საულიდი ბათუმში.**

ქვემო-ხსენებული კანტორა ამით ამოწმებს, რომ აგენტი **ი. ქ. საულიდს**

მინდობილი აქვს ჰქიდოს კანტორის სახელით ხვედრი ფულის დაცალებით 5⁰/₀ სახელმწიფო მომგები ბილეთები ორთავე სესხისა, აგრეთვე მიიღოს ისინი დასაზღვევად ტირაჟში გამოსვლიდან, თანახმად კანტორისაგან მიცემულის ვექილობისა.

(10—1) ბანკირის კანტორა ф. ა. კლიმისა ს. პეტერბურგში.

**რამაშკა ბურელისა**

საუკეთესო საშუალება აქამომდე ცნობილ საშუალებათა შორის.

უეცრად სწყვეტავს ყოველ-გვარ შინაური მწერს, როგორც მაგ. შრიჰინებს, პრუსაკებს, ბაღლინჯოებს, რწყილებს, ჭიანჭველებს, ნამის ჭიებს და სხვ.

იგი მოქმედობს უეცრად,

არ შეიცავს არავითარ კაცის ჯანისათვის მავნებელს ნივთიერებას. რომ არავინ არ მოახერხოს თავად მიითვისოს ამ წამლის გამოგონება, გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება გამომგონის ხელის-მოწერას, რომელიც ამ ,,რამაშკა ბურელის‘‘ ყველა კოლოფზეა.

ფასი კოლოფისა 75 კაპ. და 40 კაპ.

ისყიდება ყველა რუსეთის საუკეთესო მაღაზიებში.

უმთავრესი დეპო ამიერ—კავკასიისათვის არის ტფილისში ,,კავკასიის საზოგადოება საათფთიაქო საქონლით ვაჭრობასა და მის განყოფილებში ბაქოს. П 19,485

(25—12)